

პროექტი №23

რკინის და სხვა ლითონების პირდაპირი მიღება მადნებისა და სამრეწველო ნარჩენების შემცველი მონოკაზმიდან

პროექტის ხელმძღვანელი - ო. მიქაძე

დაფინანსება – 10000 ლარი

ანოტაცია

რკინის ქანგეულების აღდგენის თერმოდინამიკური და ტემპერატურული პარამეტრების გათვლის საფუძველზე დადგენილია მონოკაზმის ბრიკეტების ოპტიმალური შედგენილობა და რაციონალური აღმდგენლის თერმოდინამიკური მახასიათებლები.

ექსპერიმენტულად დადგენილია მონოკაზმის ბრიკეტების დამზადების ძირითადი ტექნოლოგიური პარამეტრები, მათი მექანიკური და თბოფიზიკური თვისებები რკინის ჰემატიტური და მაგნეტიტის მადნების გამოყენების შემთხვევაში.

შესწავლილია მონოკაზმის ბრიკეტების მეტალიზაციის პროცესი, დადგენილია მისი ოპტიმალური ტემპერატურა, გათვლილია მეტალიზაციის ხარისხის ტემპერატურული დამოკიდებულება და ქვანახშირის რაოდენობის გავლენა აღდგენის პროცესის მსვლელობაზე.

დამტკიცებულია მონოკაზმის ბრიკეტებში არატრადიციული, ნარჩენებისაგან დამზადებული აღმდგენლის გამოყენების შესაძლებლობა მეტალურგიული, ქიმიური და სამთო-გამამდიდრებელი წარმოებების ნარჩენებისაგან კომპლექსური შენადნობების მისაღებად.

პროექტის წლიური ანგარიშის მასალების გამოყენებით გამოქვეყნებულია შემდეგი პუბლიკაცია:

- О.Ш.МИКАДЗЕ, Б.Г. ГОГИЧАИШВИЛИ, Т.И. БУЧУКУРИ. Исследование возможности применения некоторых медицинских отходов для получения комплексных сплавов - ТРУДЫ Международной научно-технической конференции УСТОЙЧИВОЕ РАЗВИТИЕ И ОХРАНА ОКРУЖАЮЩЕЙ СРЕДЫ. Тбилиси: ТЕХНИЧЕСКИЙ УНИВЕРСИТЕТ, 2010, стр. 104-107.

დაგეგმილია პუბლიკაცია ავსტრიის ლეობენის სამთო-მეტალურგიული უნივერსიტეტის (MONTANUNIVERSITÄT, Leoben, Austria) ჟურნალში **BHM - Berg- und Hüttenmännische Monatshefte.**